

არჩილ კაპანაძე, პროფესორი
სიმულაციური სამედიცინო ცენტრის დირექტორი

საწავლო უნივერსიტეტი გეომედი
თბილისი, საქართველო 0114
მეფე სოლომონ II-ის ქუჩა № 4
Email: thermography@hotmail.com
www.geomedi.edu.ge

რამდენიმე მოსაზრება პათოლოგიური
დამოკიდებულების ფილოსოფიურ და
ანთროპოლოგიურ ასპექტებზე

12.04.2019

დასაწყისში მინდა მოგმართოთ გარკვეული დებულებით.
ცნობილია დიდი გერმანელი პოეტის გოეთეს გამონათქვამი:
„ყველაფერი ნათქვამია, ისღა დაგვრჩენია ყველაფერი ვთქვათ
თავიდან!“

მე მცირე ცვლილება შევიტანე ამ გამონათქვამში: „ყველაფერი ნათქვამია, ისლა დაგვრჩენია ყველაფერი გავიგოთ თავიდან!“

როგორც თქვენ ბატონო კარბონ, მართებულედ აღნიშნეთ, ტერმინოლოგიური პრობლემა მნიშვნელოვანია, ვინაიდან ის იწვევს განსხვავებულ გაგებას.

ამის გამო, მე გადაწყვიტე ვისაუბრო სახელმძღვანელოების და ლექსიკონების დონეზე, ვინაიდან ვთვლი, რომ ეს არის კონცეფციათა გაზიარებულობის ყველაზე ღრმა დონე. ჩემი აზრით, ეს არის მთავარი დაბრკოლება განვითარების გზაზე. როგორც აღნიშნავდა თომას კიუნი, სამეცნიერო პარადიგმა ხდება განვითარებისათვის „დამშოშმინებელი პერანგი“ მისი ფართო მიღებულობის გამო.

მაშ ასე, რა არის პათოლოგიური დამოკიდებულება?

„პათოლოგიური დამოკიდებულება ეს არის ფსიქოლოგიური და ფიზიკური უუნარობა შეჩერდეს ქიმიური ნივთიერების, წამლის, აქტივობის განმეორება ან ნაერთის მიღება, თუნდაც, იგი იწვევდეს ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ დაზიანებას. ეს ტერმინი არ განეკუთვნება მხოლოდ ნაერთებზე დამოკიდებულებას... პიროვნებას, რომელიც ვერ ერევა გარკვეული წამლის, ქიმიური ნაერთის მიღების შეჩერებას გააჩნია ნაერთის მიმართ დამოკიდებულება. ზოგიერთი პათოლოგიური დამოკიდებულება არის გარკვეულ აქტივობებში მონაწილეობის მიღების შეჩერების შეუძლებლობა, მაგალითად, თამაშები, კვება ან მუშაობა. ამ შემთხვევაში პიროვნებას გააჩნია ქცევითი დამოკიდებულება.“

ეს არის პათოლოგიური დამოკიდებულების ძალიან ზოგადი, ფართოდ გავრცელებული და პოპულარული განმარტება.

აქ, ჩემთვის მთავარი კითხვაა: სად არის აქ სიამოვნება?

ნუთუ, სიამოვნების კონცეპტს არაფერი არ აქვს საერთო ამ პრობლემასთან?

რა არის სიამოვნება?

ვებსტერის ლექსიკონით ასე განმარტება: „სიამოვნება არის თანხმობითი გრძნობა, რომელიც მოჰყვება რაიმე კარგს ან ძალიან სასურველს, სიამოვნება გამოიყენება ბედნიერების იმ გრძნობის ან კმაყოფილების გამოსახატავად, რომელიც შეიძლება არ იყოს გამოხატული ღიად.“

აქედან გამომდინარე, ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ „სიამოვნება“ არის რაღაც პასიური, არა მიღწევადი, არამედ მიღებადი.

შეიძლება პრობლემა ამ კონცეპტისადმი ისტორიულ მიდგომაშია?

ზიგმუნდ ფროიდმა დაასახელა „სიამოვნების პრინციპი“ იდ-ის მოქმედების პრინციპად. ამდენად, ვებსტერის ლექსიკონი განმარტავს მას შემდეგნაირად: „ინდივიდუალური ქცევის ტენდენცია, რომელიც მიმართულია ინსტინქტური ძალების მაშინვე დაკმაყოფილებისაკენ და ტკივილისა და დისკომფორტისაგან მაშინვე თავის დაღწევისაკენ“.

მაგრამ, ეგოსა და სუპერეგოს დონეებზე ფროიდი აღარ ახსენებს კონცეპტს „სიამოვნება“. სამაგიეროდ იგი ხმარობს: „ამ წესების დაცვა იწვევს სიამაყის, მნიშვნელოვანების და მიღწევის გრძნობას.“ ჩემი აზრით ესეც სიამოვნებაა.

ამდენად, თუ სიამოვნება დაკავშირებულია ინსტინქტთან, ჩვენ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ეს არის სიცოცხლის ერთერთი მთავარი ატრიბუტი.

რა არის სიცოცხლე მისი ძლიან ზოგადი გაგებით?

ეს არის გარემოში არსებული ორგანული მასალის და ენერგეტიკული სუბსტრატის მოხმარება, მისი დაშლა, საკუთარი ორგანული მასალის აგება და ნარჩენების გამოყოფა. ამდენად, სიცოცხლე არის გარემოსთან ენერგეტიკული ურთიერთობა. აქედან გამომდინარე, სიცოცხლის მიზანი არის გარემოსთან ენერგეტიკული წონასწორობის მიღწევა. გარემოს (და სიცოცხლის) ცვალებადი ბუნებიდან გამომდინარე ეს მდგომარეობა არ შეიძლება მიღწეულ იქნას მთლიანობაში. ამდენად, ჩვენ გვაქვს ასიმპტოტური სწრაფვა სიამოვნებისაკენ. ეს შეიძლება განვიხილოთ, როგორც ევოლუციის ერთ-ერთი მამოძრავებელი ძალა ვერტიკალური და ჰორიზონტალური (მრავალფეროვნება) მიმართულებით.

ზემოთ მოყვანილი მსჯელობიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ სიამოვნება ზოგადად სიცოცხლის მახასიათებელია. და რა განსხვავებაა ადამიანისთვის?

ადამიანს შეუძლია მართოს საკუთარი სიამოვნება. ეს არის ადამიანსა და ცოცხალს შორის ძირითადი განსხვავება. თუ ადამიანს შეუძლია სიამოვნების მართვა, ეს ნიშნავს, რომ მას შეუძლია შექმნას ისეთი პირობები, რომლებსაც შეუძლია მოუტანოს მას სიამოვნება და გაიმეოროს ისინი უსასრულოდ.

და ადამიანი აკეთებს ამას!

ალკოჰოლი, ოპიუმი, თამბაქო, კოკა, სოკოები ეს არის მხოლოდ რამდენიმე ასეთი მაგალითი. მაგრამ ხანგრძლივი სიამოვნება მომაკვდინებელია. ჩვენ შიძლება აღვნიშნოთ, რომ ასეთ მომხმარებელ საზოგადოებებში პათოლოგიური დამოკიდებულება არ არის სოციალური პრობლემა, ვინაიდან იქ არსებობენ მოხმარების შეზღუდვები. ეს არის საერთო (კოლექტიური) ცოდნა, რომელიც მიღებულია საზოგადოების მიერ და განხორციელებულია წესებში, რომლებიც მოწოდებულია საზოგადოების წევრების სიამოვნებისაგან სიკვდილისგან დასაცავად. თამბაქოსა და სოკოების მომხმარებელ საზოგადოებებში არის მნიშვნელოვანი რელიგიური შეზღუდვები ამ ალკალიოიდების მოხმარებაზე. ოპიუმის მომხმარებელ საზოგადოებაში ალკოჰოლი რელიგიურად არის აკრძალული. ჩვენ ვიცით რა უარყოფითად იმოქმედა მთლიანად საზოგადოებაზე, როდესაც თამბაქოს მომხმარებელ საზოგადოებაში მოხვდა ალკოჰოლი და ალკოჰოლის მომხმარებელ საზოგადოებაში მოხვდა თამბაქო. ამდენად, ძალიან

მნიშვნელოვანი განზოგადებით, შეიძლება დავასკვნათ, რომ კულტურა არის ადამიანის სიამოვნების შეზღუდვის ტრადიცია. ეს ნიშნავს, რომ არ უნდა მიეცეს საშუალება სიამოვნებას გახდეს „სიამოვნების პრინციპი“.

ჩემი აზრით, ძალიან სასარგებლო იქნებოდა სიამოვნების კონცეპტის შემოტანა პათოლოგიური დამოკიდებულების განმარტებაში - ეს არის სიამოვნების მიღწევისადმი პათოლოგიური სწრაფვა. ასეთი შეხედულება ცვლის პათოლოგიური დამოკიდებულების ცენტრს გარედან შიგნით. ეს ნიშნავს, რომ პათოლოგიური დამოკიდებულება არ არის „ქიმიური ნივთიერებების, წამლების, აქტივობების ან სხვა ნაერთების მოხმარების შეჩერება“, არამედ არის შიგა პრობლემა, როდესაც სიამოვნება ხდება „სიამოვნების პრინციპი“. შეიძლება ეს ხელს შეუწყობს ამ სფეროში ზოგიერთი მიდგომების და მეთოდების შეცვლას.

დასკვნები:

- სიამოვნება სიცოცხლის საერთო ატრიბუტია;
- სიამოვნებისაკენ ასიმპტოტური სწრაფვა არის ევოლუციური პროცესის ერთერთი მამოძრავებელი ძალა;
- ადამიანი განსხვავდება სხვა ცოცხალისაგან საკუთარი სიამოვნების მართვის უნარით;
- კულტურა არის ადამიანის სიამოვნების შეზღუდვის ტრადიცია;
- პათოლოგიური დამოკიდებულება არის სწრაფვა სიამოვნების მისაღწევად.

რამდენიმე დასკვნითი სიტყვა:

ჩემთვის, სიამოვნების სიცოცხლის და ადამიანის ატრიბუტად აღიარება არის კიდევ ერთი ნაბიჯი ადამიანის ინტელექტის გაგებისაკენ. ვინაიდან ინტელექტი არის ადამიანის უნარი რეაქცია მოახდინოს გარემოს გამოწვევაზე, ეს მოსაზრება დაგვებმარება ადამიანის ტიპის ხელოვნური ინტელექტის შექმნის რთულ გზაზე. ამ საკითხისადმი თანამედროვე მიდგომები ფრიად გამარტივებულია და შეიძლება აღიწეროს ასე: „როგორ მოიქცეოდა ადამიანი ასეთ პირობებში?“ საპირისპირო იქნება მიდგომა რომელიც შეიძლება აღიწეროს ასე: „როგორ ჰქმნის ადამიანი მის გადაწყვეტილებას?“

აქ ბევრი კითხვაა პასუხგასაცემი:

რა განსხვავებაა დასკვნასა და გადაწყვეტილებას შორის?

რა არის მთავარი მოტივები ადამიანის გადაწყვეტილებისათვის?

როგორ ცვლის ეს მოტივები შემოსულ ინფორმაციას, რომელიც ადამიანის გადაწყვეტილების საფუძველი ხდება?

და სხვა.